



ა კ ა ლ ი ტ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქ. შოთა რეზენტიანი — ოფიციალური
სახლი. განხილვა, განხსნება — ერთგული. საყიდეო მინისტრი



№10, თებერვალი, 2019

უნივერსიტეტის ამ ნომერში წარმოდგენილია 2018 წელს არჩეული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების პიოგრაფიები. ვულოცავთ მათ ამ დღიდ პატივს და ვუსურვებთ კვლავაც წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე
— დაიბადა 1939 წელს, დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი მცენარეთა დაცვის სპეციალობით, 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1975 წელს — სადოქტორო დისერტაცია.



იგი სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამდვილი წევრია (1992 წ.) და 2013 წლიდან არჩეულია ამავე აკადემიის პრეზიდენტად.

არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 17 მონოგრაფიისა და 10-ზე მეტი ბროშურის, 80-ზე მეტი ნაშრომი გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჟურნალებში. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: ვაზის მავნებლები, მცენარეთა მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლა, ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში და სხვ.

გ. ალექსიძე მეშვარდა (2003-07 წ.) ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ვაშინგტონში.

გ. ალექსიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო ეხება სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ვაზის, ხეხილის, ციტრუსების და სხვ.) მავნებელ-დაავადებებთან ინტეგრირებულ დაცვას. ის არის ამ მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მან პირველადაც 1943 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო

აგროცენოზებში გავრცელებული მავნე და სასარგებლო მნერების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისათვის.

გ. ალექსიძე 2008 წლიდან დღემდე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უზრნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორი. 2015 წლიდან ცენტრალური აზისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარე. 2015-2016 წლებში იყო FAO-ს ტროპიკული სოფლის მეურნეობის პროგრამის (TAR) სამეცნიერო საბჭოს წევრი (2015-2016 წწ.).

გ. ალექსიძე არის „ქართული ენციკლოპედიის“ აგრარული კომისიის თავმჯდომარე, 2001 წლიდან ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბეჭა (ჭარბლის) სამუშაო ჯგუფის წევრი და სხვ.

იგი მრავალი წელია ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში (რუსეთი, ირანი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი).

არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის მფლობელი.

გ. ალექსიძე ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. დაჯილდოებულია „ლირსების ორდენით“ (1999 წ.), „შრომის ნარჩინებული“ (1982 წ.) და აგრეთვე იკარდის (ICARDA) და სიჯიარის (CGIAR) სპეციალური ვერცხლის მედლით.

აკადემიკოსი რევაზ გაჩეჩილაძე — დაიბადა 1943 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ალმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს სა-ოქენეტორო დისერტაცია.



იგი არის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი. კითხულობს ლექციებს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხებზე. ხელმძღვანელობს თსუ საქართველოს სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტს.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია, ახლო ალმოსავლეთისა და კავკასიის გეოგრაფია და გეოპოლიტიკა, დიპლომატიის ისტორია. გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (35 გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ) და 24 მონოგრაფია (3 გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ). მისმა მონოგრაფიამ „The New Georgia: Space, Society, Politics“ მაღალი შეფასება მიიღო დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, პოლანდიაში, რუსეთში, გერმანიაში, თურქეთსა და პოლონეთში. აკადემიური განმარტინადობის ციტირების ინდექსი — 8, Google Academia — 190.

სხვადასხვა წლებში იყო პოლიოკისა (აშშ) და ოქსფორდის უნივერსიტეტების მოწვეული პროფესორი. 2008-2016 წწ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოე-

ლი წევრი. მისი ხელმძღვანელობით
დაცულია არაერთი საკანდიდატო
დისერტაცია და მომზადებულია
მრავალი ბაკალავრი, მაგისტრი და
აკადემიური დოქტორი.

აკად. გ. გაჩერილაძე არაერთი საერთაშორისო გრანტის მფლობელია (NATO, AAAS, ASCN), მოპოვებული აქვს აგრძელებული მოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიც. არის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მინიჭებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონის სახელმწის სამეცნიერო აკადემიური პრემია. დღემდე რედაქტორობს ჟურნალს „Caucasus Geographical Review“. არის საქართველოს ალ. ჯავახიშვილის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, თსუ საქართველოს სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტის დირექტორი.

აკად. გ. გაჩერილაძე მონანაწ-ილეობდა არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, სიმპოზიუმშა თუ სემინარში. 2015 წლიდან ხელმძღვანელობს საერთაშორისო კონფერენციას „პოლიტიკა კავკასიის გარშემო“. თავისუფლად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, საშუალოდ – ფრანგულს, თურქულს, პოლონურსა და სლოვაკურს. 1997 წლითან აწია თაპლომატი-

၁၃၇. သုတေသနပုဂ္ဂန် လူမှားလုပ် အပြုံ၊
ဗျာ စာမိစာနှုံး၏

აკადემიკოს ნოდარ კავალიძე
დაიბადა 1930 წელს, დაამთავრა
თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, 1962
წლიდან არის ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი, 1977
წელს დაიცვა სადოქტორო დისერტა-
ციია.

იგი არის ფერდინანდ თავაძის
მეტალურგიისა და მასალამცოდ-
ნეობის ინსტიტუტის ნახევარგამტა-
რული მასალამცოდნეობის ლაბორა-
ტორიის გამგე. წლების მანძილზე
მუშაობდა თსუ-ში, სოხუმის ილია
ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტი-
ტუტში, საქართველოს ტექნიკურ
უნივერსიტეტში.

აკად. ნ. კეკელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ნახევარგამტარების და მყარი სხეულების ფიზიკა, ტექნოლოგია, ელექტრონიკა, მასალათმცოდნეობა, რადიოაციული ფიზიკა, მაღალტექნიკური ზეამტარობა, ფიზიკური მეთოდები ეკოლოგიაში. იგი არის საქართველოში ნახევარგამტართა ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდევ-



ბელი. ლ. კეკელიძე არის მრავალი ინოვაციური ტექნოლოგიის ავტორი, რომელთა ბაზაზე შეიქმნა უმნიშვნელოვანესი თვისებების მქონე ახალი რადიაციულად მდგრადი მასალები. მის მიერ დამზადებულმა თხევადი გაზიდის დეტექტორებმა დაიმსახურეს საერთაშორისო აღიარება და ლაიცპიგის ბაზრობის დიდი ოქროს მედალი და მრავალი სხვა ჯილდო. 2011-2018 წლებში გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, უმტკისობა საერთაშორისო გამოცემებში.

არის 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 19 პატენტის მფლობელი. 21 საერთაშორისო და ეროვნული საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი ან მონაწილე. მისი შრომები გამოქვეყნებულია მაღალი რეიტინგის მრავალ საერთაშორისო ჟურნალსა და გამოცემებში. კვლევის შედეგები შემონაბეჭული და დადასტურებულია ცნობილ საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებში – (ოქსფორდის, კლარენდონის ლაბორატორია, საკლეს ბითვული კვლევების ცენტრი და სხვ.). WEB OF SCIENCE-ის მიხედვით 6. კველიძის შრომების ციტირების ჯამური რიცხვი 9000-ზე მეტია, რაც იმავე სისტემის განმარტებით „ასახავს ავტორის გლობალურ წვლილს/გავლენას შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების განვითარებაზე“.

ყურადღალება 6. კეცელიძის
განსაკუთრებული სამეცნიერო და
პედაგოგიური აქტივობა, მან აღ-
ზარდა 22 დოქტორი.

არის პეტრე მელიქიშვილის სა-
ხელობის პრემიის ლაურეატი,
მეცნიერების დამსახურებული მო-
ღვანე. დაჯილდოებულია საქა-
რთველოს განათლების სამინის-
ტროს რესპუბლიკური პრემიით,
სათბობ-ენერგეტიკის სამინისტ-
როს პრემიით, მრავალი საპატიო
სიგელით, დიპლომით და ლირსების
ორი ორდენით.

အာဖောက်ပုဂ္ဂန် ရွှေခြင် လျှပ်စီး
အောင် - ရွှေဝါယာနှင့် 1963 နှောက်၊ 1985
နှောက် ရွှေခြင် လျှပ်စီး အာဖောက်
မြို့တော် ဦးဒေါ်သန အာဖောက် လျှပ်စီး
အောင် - ရွှေခြင် လျှပ်စီး အာဖောက်
မြို့တော် ဦးဒေါ်သန အာဖောက် လျှပ်စီး
အောင် - ရွှေခြင် လျှပ်စီး အာဖောက်

იგი არის საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი (2004), აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (2007), ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (აშშ) წამდგილი წევრი (2008), მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპის აკადემიის აკადემიის (2011) წევრი.



1993 წლიდან კითხულობს ლეგ-ქციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტში, 2015 წლიდან ხელმძღ-ვანელობს პალეოანთროპოლოგი-ის სადოქტორო პროგრამას, 2018 წლიდან უნივერსიტეტის სრული პროფესორია. იყო მოწვეული პრო-ფესორი ჰავარდის და ტარაგონას უნივერსიტეტებში, ასევე პარიზის ბუნების ისტორიის მუზეუმში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 3 სა-დოქტორო დისერტაცია, ჩართულია ევროპული Erasmus Mundus-ის სამ-აგისტრო პროგრამაში.

დავით ლორთქიფანიძის სა-
მეცნიერო ინტერესების სფეროა
ჰომინიდების ევოლუცია და ბუნე-
ბრივი გარემოს ისტორია. იგი იკვ-
ლებს პალეობიოლოგის ფუნ-
დამენტურ საკითხებს. მრავალი
წელია ხელმძღვანელობს დმანი-
სის არქეოლოგიურ ექსპედიციას,
სადაც ნაპოვნია ევრაზიაში უძ-
ველესი ჰომინიდი. ამ აღმოჩენამ
მნიშვნელოვნად შეცვალა ადრე
არსებული მოსაზრებები ადამი-
ანის ევოლუციის შესახებ. დავით

ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტს „ლვინის ვაზის ისტორია“, რომლის კვლევის შედეგებმა დაადასტურა მსოფლიოში უძველესი ლვინის კვალის არსებობა საქართველოში. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, ისეთი მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, როგორიცაა Science, Nature, PNAS.

მისი კვლევის შედეგები გაშექდა პოპულარულ სამეცნიერო ჟურნალებში National Geographic, GEO Magazin, Scientific American. მისი ხელმძღვანელობით მოწყო არაერთი გამოფენა საქართველოსა და უცხოეთში ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, მეცნიერების გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის, საქართველოს, საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფო ორდენები. არის მონაკეთი პრინცის, როლექსის, იტალიის მეცნიერებათა აკადემიის, ჰუმბოლდტის პრემიების ლაურეატი.

აკად. დ. ლორთქიფანიძე არის სამუზეუმო საქმის რეფორმატორი, მისი ინიციატივით საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი სამუზეუმი ინსტიტუცია – ეროვნული მუზეუმი. იგი ხელმძღვანელობს ქართულ სამეცნიერო მისიას ქუვეითში და ანარქოებული ეროვნული მუზეუმის ერთობლივ სამეცნიერო კვლევას აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, დანიის, იტალიის, ისრაელისა და ავსტრალიის სამეცნიერო ცენტრებთან.

აკად. დ. ლორთქიფანიძის შრომებს აქვთ ციტირების მაღალი ინდექსი (წოდებულ სცადოლარსპიც – 5278).

აკადემიკოსი ვაჟა ლორთქიფანიძე – დაიბადა 1949 წელს, დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი.

იგი წლების მანძილზე მუშაობდა მეცნიერული დემოგრაფიის სფეროში. საყურადღებოა მისი ნაშრომები ისტორიული დემოგრაფიის მიმართულებითაც. მის მიერ 1993 წლს დაცული საკანდიდატო დისერტაცია – „სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“ და 1998 წელს – სადოქტორო დისერტაცია „ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“ საინტერესოდ აღწერენ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული კუთხის დემოგრაფიული განვითარების პრობლემებს. ასევე მნიშვნელო-

ვან ისტორიულ-დემოგრაფიულ და სტატისტიკურ ინფორმაციას ეყრდნობა მისი თანაავტორობით შექმნილი ვრცელი და საყურადღებო ნაშრომი – „კავკასიის მოსახლეობა“. აღნიშნული ნაშრომი 2009 წელს ნოუ-იორკში გამოიცა ინგლისურ ენაზე.



დემოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე ვ. ლორთქიფანიძეს გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 7 მონოგრაფია, რომელთაგანაც 5 ცალკე წიგნად არის გამოცემული.

მნიშვნელოვანია აკად. ვ. ლორთქიფანიძის ორგანიზაციულ-სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობაც. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით 2000 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა დემოგრაფიის კათედრა, ხოლო 2014 და 2016 წლებიდან თსუში მოქმედებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები დემოგრაფიაში. ასევე, 2016 წლიდან საქართველოს საპატრიიარქოს ქართულ უნივერსიტეტში მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით ამოქმედდა საბაკალავრო პროგრამა აღნიშნულ დარგში.

აკად. ვ. ლორთქიფანიძე საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტია. დაარსებული აქვს სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“.

აკად. ვ. ლორთქიფანიძე არის საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის ერთერთი ინიციატორი და ავტორი. იგი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი.

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი – დაიბადა 1950 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბების კიბერნეტიკის ფაკულტეტი.

სავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1979 წლიდან ამავე უნივერსიტეტის პედაგოგია. 2012 წლიდან ხელმძღვანელობს დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თარგმან-მცოდნეობის კათედრას სათანადო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით.

ი. მერაბიშვილი აღიარებულია საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ, როგორც ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, თარგმან-მცოდნე, მთარგმნელი, ორატორი და საზოგადო მოღვაწე.



ენათმეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია სიტყვის მნიშვნელობის მისეული კონცეფცია და ტექსტის ლინგვისტური პარამეტრების შემდგომი განვითარება, რამაც საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ი. მერაბიშვილმა შექმნა თარგმანის ახალი ლინგვისტური თეორია. აღნიშნულმა კონცეფციამ საშუალება მისცა, მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა პოეტური ტექსტის ინტერპრეტაციაში, განსაკუთრებით, გალაკტიონის იმ შესიტყვებებისა და სიმბოლოთა გახსნასა და ანალიზში, რომელიც აუსანელად იყო მიჩნეული ქართულ ფილოლოგიაში.

ი. მერაბიშვილმა აგრეთვე გამდიდრა ლიტერატურათმცოდნეობა ბაირონის ირგვლივ მოძიებული და მოკვლეული მასალით, რამაც ძირეულად შეცვალა არაერთი საკითხისადმი მიღვიმება თანამედროვე ბაირონოლოგიაში.

2014 წელს მისი ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ბაირონის 40-ე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ი. მერაბიშვილმა წარადგინა მონოგრაფია „Encounter with

Lord Byron", 1988 წელს ი. მერაბიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააფუძნა საქართველოს ბაირონის საზოგადოება, რომელმაც ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ მეცნიერულ აზრსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ი. მერაბიშვილის მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც მეცნიერულ ანალიზს ემყარება. ამ მხრივ საყურადღებოა ლონდონში დასტამბული მის მიერ ინგლისურად ნათარგმნი გალაკტიონის კრებულები. მისი დამსახურებაა ლონდონში გალაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის ჩატარება.

იგი არის 20 წიგნისა და მონოგრაფიის, 100-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მნიშვნელოვანია მისი პროექტი საშუალო სკოლასა და უნივერსიტეტს შორის არსებული კავშირის გაუმჯობესების შესახებ. პროექტის განხორციელების მიზნით დაარსა ბაირონის სკოლა, რომელიც მსოფლიოს 500 საუკეთესო სასანაცლებელთა სიაშია.

ი. მერაბიშვილი არის დიდი ბრიტანეთის პოსტ-კონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრი, ამერიკული (ნიუ-იორკი) საერთაშორისო ლინგვისტური ურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. მას მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი, ივანე მაჩაბლის პრემია, საერთაშორისო ელჩის ტიტული და ორდენი საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრიდან.

აკადემიკოსი თამაზ ნატრიაშვილი – დაიბადა 1950 წელს, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი სპეციალობით „შიგაწვის ძრავები“. ამჟამად არის სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

თ. ნატრიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროში შედის: საავტომობილო ძრავების სიმძლავრის, ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლების კვლევა და გაუმჯობესება; საავტომობილო ძრავებზე;



ალტერნატიული საწვავების გამოყენება. ახალი ტექნოლოგიური მანქანების დამუშავება; სამანქანო სისტემების დინამიკური პროცესების კვლევა; მყარი სხეულების დარტყმითი პროცესების შესწავლა; რობოტიზებული და არატრადიციული სისტემების დამუშავება; ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენება.

თ. ნატრიაშვილს გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 4 მონოგრაფია, 2 დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. იგი 11 გამოგონებისა და პატენტის ავტორია. მისი შრომებიდან 56 გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. მონაწილეობა აქვს მიღებული 50-მდე სამეცნიერო ფორუმის მუშაობაში. არის მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და ლონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 7 საგრანტო პროექტი. არის მანქანათმშენებლობის საერთაშორისო ფედერაციის (IFT OMM) უკრაინის განყოფილების საერთაშორისო კონფერენციის პროგრამული კომიტეტის მუდმივი წევრი. არჩეულია სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური ურნალების რედაქტორიდან.

თ. ნატრიაშვილი არის საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2011 წ.), დაჯილდობულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიგელით მანქანათმშენებლობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, 1992-93 წლებში იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების 22-ე ბრიგადაში ანარმობდა ომში დაზიანებული ტანკებისა და საბრძოლო მანქანების რემონტსა და აღდგენას (საომარ პირობებში). იგი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალებით ასრულებდა და ხელმძღვანელობდა 20-მდე პროექტს, მათ შორის, მონაწილეობდა

ჯავშნიანი მანქანების „დიდგორისა“ და „ლაზიკის“ შექმნა-დამუშავებაში, ჯარისკაცის ჩაფხუტების წარმოების ტექნოლოგიური ხაზის მართვის სისტემების დამუშავებაში და სხვ.

სხვადასხვა წლებში თ. ნატრიაშვილი კითხულობდა ლექციების კურსს საფრანგეთში (პარიზი, ტულუზა, მარსელი). იგი არის 5 სამეცნიერო-ტექნიკური ურნალის რედაქტორის წევრი.

მნიშვნელოვანია თ. ნატრიაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 5 საკანდიდატო და 5 სადოკტორო დისერტაცია.

აკადემიკოსი ალექსანდრე ნერსიანი დაიბადა 1943 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი თეორიული ფიზიკის სპეციალობით. 1971 წლიდან იგი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია, 1998 წლიდან კი დოქტორი.

ალ. ნერსესიანი 70-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. ციტირების ინდექსი პ-25, სრული ციტირება 4090 (Google Scholar).

ალ. ნერსესიანს გამორჩეული წვლილი აქვს შეტანილი კვანტული ფიზიკის გადასვლების თეორიაში.



აქ მიღწეული ფუნდამენტური მნიშვნელობის შედეგები თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „ჯაფარიძე-ნერსესიან-პოკროვსკის-ტალაპოვის“ ფიზიკური გადასვლა.

უალერესად მნიშვნელოვანია ალ. ნერსესიანის შედეგები, მიღებული ორჯაჭვიანი სპინური სისტემების კვლევისას. 2009 წელს სპინონების კონფაინმენტის ეფექტი ექსპერიმენტულად დამზიდებული იყო გერმანიაში ჰერლინის ცემლმოლცის საზოგადოების ბერლინის ცენტრის მკვლევართა მიერ.

ალ. ნერსესიანის შედეგები აღიარებულია და ფართოდ გამოიყენება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერ-

အဖွဲ့များရှိခိုင်း၊ ၁၉၅၂ ထူက္ခာစီမံချက်ရွေ့ကြောင်း ၅၀၀-
၃၇၇ မီတာ ဖြစ်ပါသည်။ ၁၉၅၂ ခုနှစ်တွင် ၁၉၄၈ ခုနှစ်၏
၂၁၅ မီတာ မျှတောင်းခဲ့သော ၁၉၄၈ ခုနှစ်၏ ၂၁၅ မီတာ
၁၉၅၂ ခုနှစ်၏ ၂၁၅ မီတာ မျှတောင်းခဲ့သည်။

ბოლო წლებში აღ. ნერსესიანის სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია დაბალგანზომილებიანი კონდესირებულ გარემოთა ფიზიკის ტოპოლოგიური ასპექტების კვლევასთან. იგი ერთ-ერთი ავტორია ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული მოხოვგრაფიისა „ბოზონიზაცია და ძლიერად კორელირებული სისტემები“. წიგნის პოპულარობას ადასტურებს მასზე არსებული 1300-ზე მეტი ციტირება.

აკად. ალ. ნერსესიანი წლების გან-
მავლობაში კითხულობდა ლექსიებს
თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტში, ოქსფორდისა და ბოლონი-
ის უნივერსიტეტებში, ნორდიტაში
(კოფენციალუნი), ქ. ტრიისტის აბდუს
სალამის საერთაშორისო ცენტრში.
ამჟამად იგი ილიას უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორია, არის რამ-
დენიმე სადიპლომო და სადოქტორო
დისერტაციის ხელმძღვანელი.

აკად. ალ. ნერსესიანი არის აკად. ელ. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

უოურნალ ოf Statistical Mechanics Theory and Experiments (JStat) სარედაქციო კოლეგიის წევრი, ამე-რიკის ფიზიკის საზოგადოების უურ-ნალების Physical Review, Physical Review Letter-ის რევური.

აკადემიკოსი ზურაბ ქავაშიძე
30ლი დაიბადა 1941 წელს, დაამ-
თავრა თბილისის სახელმწიფო სა-
მედიცინო ინსტიტუტი. 1968 წლიდან
დღემდე მუშაობს საქართველოს აუ-
დიოლოგიის ეროვნულ ცენტრში სხ-
ვადასხვა თანამდებობებზე. პარალე-
ლურად იყო თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო აკადემიის ოტორინო-
ლარინგოლოგიის კათედრის დო-
კუნტი, პროფესორი, აგრეთვე, თსუ
ოტორინოლარინგოლოგიის კურსის
პროფესორი.

1969 წელს დაიცვა საკანზღიადატო
დისერტაცია თემაზე „თავის ტვინ-
ის ჰემისფეროთა ურთიერთობებში
კორძიანი სხეულის მნიშვნელობის
გარკვევა“. სადოქტორო დისერტ-
აციის თემა იყო „ადამიანის სმენის
გამოწვეული პოტენციალების მახა-
სიათბოლები“.

အားလုံး ၃။ ქိုဒာန်ဒါနလှေ ၃ မြောက်-
ခြားတွင် ၃ ဗျာကြော်ဖို့ ၃၈၅
စာမျက်နှာရှိခြင်း ပေါ်လေမီသူ အဖွဲ့
တော်သာရွှေရှိခြင်း မြတ်ဆုံး
မိမိနှေ့ပျော်ရွှေ အောက် စာရွှေတွင်
မြတ်ဆုံးရွှေ အားလုံး ၃၈၅
စာမျက်နှာရှိခြင်း ပေါ်လေမီသူ အဖွဲ့



ეროვნული პრემიები.

მისი ნაშრომებიდან 181 ინგლი-
სურ, 103 რუსულ, 67 ქართულ, 33
გერმანულ და 1 ბულგარულ ენებ-
ზეა გამოქვეყნებული. ნაშრომთა
მნიშვნელოვანი ნაწილი დაბეჭდილ-
ია მაღალ რეიტინგულ ჟურნალებ-
ში. საერთაშორისო-სამეცნიერო
გამოცემებში დასტამპულ ნაშრომ-
თათვის დაჯილდოვდა International
Science Foundation-ის პრემიით.
მონანილებდა და ზოგჯერ თვითონ
ხელმძღვანელობდა მრავალ საერ-
თაშორისო სამეცნიერო ფორუმში.
სანგრძლივი დროით მუშაობდა გერ-
მანაში. გერმანელ მეცნიერებთა
მჟიდრო მეცნიერულ-შემოქმედებით
კავშირებთან ასოცირდება გერმანუ-
ლი ფირმის „Kind-Hörgeräte“-ს მიერ
აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის
ბაზაზე სასმენი აპარატების ფილია-
ლის გახსნა.

აკად. ზ. ქევანიშვილი 15 დო-
სერტაციის ხელმძღვანელი, თა-
ნახელმძღვანელი და კონსულტან-
ტია. იგი არის ს. ხეჩინაშვილის
სახ. საქართველოს ოფორინოლა-
რინგოლოგთა ასოციაციის პრეზი-
დენტი, ივ. ბერიტაშვილის სახ.
საქართველოს ფიზიოლოგთა სა-
ზოგადოების მმართველი საბჭოს
წევრი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალუ-
რი დაცვის სამინისტროს ექსპერ-
ტი ოტოლოგიაში, თავის ტვინის
შემსწავლელი საერთაშორისო ორ-
განიზაციის (IBRO) საქართველოს
ფილიალის მმართველი საბჭოს წევ-
რი. ერლანგენის (გერმანია) ფი-
ზიკურ-სამედიცინო საზოგადოების
წევრ-კორესპონდენტი, ოტორი-

ნოლარინგოლოგთა მსოფლიო კო-
ლეგიის წევრი, აშშ აკუსტიკური
საზოგადოების ასოცირებული წევ-
რი, თბილისში აშშ-ს საელჩოს სა-
მედიცინო მრჩეველი და ა.შ.

სისტემატურად მონაწილეობს გრანტულ პროექტებში. ანნ არბორის (მიჩიგანი) უნივერსიტეტის კრეს-გის სახელობის სმენის კვლევის ინსტიტუტთან ერთად თბილისის აუდიოლოგის ცენტრში მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა GRDF/CRDF-ის გრანტული თემა სახელწოდებით: Prevention of Aminoglycoside-Induced Ototoxicity by Vitamin E. დრუზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიოლოგის ლაბორატორიასთან ერთად კი მუშავდებოდა Volkswagen-ის კონკურსში გამარჯვებული თემა: The Dounce Phenomenon and the Tinnitus: Interrrelationship and the Mechanisms Involved. ბაუნის (არეკვლის) პრიბლემებზე მისი თანაავტორობით 19 ნაშრომი შესრულდა: 17 - ინგლისურ, თითო-თითო - ქართულ და რუსულ ენებზე. ერთი სტატია Hearing Research-ში - პროფილის ნამყვან საერთაშორისო ჟურნალში დაისტამდა. პარარელურად ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტში „ახალშიბილთა და პირველკლასელთა სმენის გამოკვლევა“.

არის უკანასკნელ Journal of Georgian Medicine-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი. მრავალი უკანასკნელის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

အပြည်မြိုက်နယ်ရာ ၂၀၁၃ ခုနှစ်

- დაიბადა 1952 წელს, დაამთავრა
თბილისის სახელმწიფო სამედიცი-
ნო ინსტიტუტი, 1984 წელს დაიცვა
საკანდიდატო, ხოლო 1997 წელს სა-
დოქტორო დისერტაცია. 1991 წლ-
იდან არჩეულია თბილისის სახელმ-
წიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
მედიცინის კათედრის გამგედ, 2016
წლიდან ხელმძღვანელობს თსსუ
სამედიცინო-ჰუმანიტარულ მიმარ-
თულებას. არის მედიცინის ისტო-
რიკოსთა საერთაშორისო საზოგად-
ოების (ISHM) ვიცე-პრეზიდენტი,
2014 წელს მისი ორგანიზატორობით
ჩატარდა ამ საზოგადოების მსოფ-
ლიო კონგრესი.

მისი სამეცნიერო ინტერესების მთავარი სფეროა პაპოლაციური გენეტიკა, ბიოარქეოლოგია, კერძოდ, არქეოგენეტიკა. არის 200-ზე მეტი სამეცნიერო და 100-ზე მეტი



სამეცნიერო-პოპულარული შრომის აკტორი, მათ შორის, 14 მონოგრაფია და სახელმძღვანელოა. შრომები დაბეჭდილია აშშ, ინგლისში, იტალიაში, იაპონიაში, პორტუგალიაში, რუსეთსა და სხვ. ქვეყნებში.

2017 წელს რ. შენგელიას ხელმძღვანელობით მომზადდა პროექტი „შირაქის საერთაშორისო მულტიდისციპლინური კვლევა – ცვლილებები პალეოგარემოში და მათი გავლენა ადამიანზე“, რომელიც მონანილეობდნენ უცხოელი მეცნიერები და სტუდენტები. სტოკონფორმის უნივერსიტეტის სპეციალისტებთან ერთად აღებული იქნა ნიმუშები მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლიდან და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნიდან. შედეგები საქართველოს ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

აკად. რ. შენგელიამ ქვეყანას დაუბრუნა ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, სადაც უნიკალური ოსტეოთევაც შექმნა, აქ ინახავს სხვადასხვა ეპოქის ძვლებს და მათ ეტაპობრივი შესწავლას გეგმავს.

რ. შენგელიას თანაავტორობით აშშ-ში გამოიცა წიგნი „საქართველოს მეცნიერების რელიგიისა და კულტურის ისტორია“, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ გამოცემად იქნა აღიარებული, ხოლო 2017 წელს მისი რედაქტორობით გამოცემულმა „ქართული სამეცნიერო ხელნაწერების კატალოგმა“ მსოფლიო გამოშხმაურება ჰქონდა.

აკად. რ. შენგელია არჩეულია ისეთი მნიშვნელოვანი ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიების წევრად, როგორიცაა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, აკადემიის პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, ვაშინგტონის მეცნიერებათა აკადემია, არის საქართველოს წარმომადგენელი ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციაში, არის საქართველოს მეცნიერების ისტო-

რის საერთაშორისო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს „კავკასიის“ მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი, მონაწილეობდა 40-მდე საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში, არის საქართველოსა და უცხოეთის (აშშ, ბულგარეთი) სამეცნიერო ურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი. ლექციებს კითხულობდა სენდაის (იაპონია) უნივერსიტეტში, მუშაობდა ლონდონის უელქანის მედიცინის ინსტიტუტში, მოპოვებული აქვს სოლიდური საერთაშორისო (ISTC, NTCU) და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტები.

აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე – დაიბადა 1932 წელს, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობით „ავტომაგისტრალები და საქალაქო გზები“. 1983 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2005 წელს – სადოქტორო



დისერტაცია და მიენიჭა ტრანსპორტის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამჟამად არის საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და სანარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქართველოს მეცნიერება“ გენერალური დირექტორი.

თ. შილაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემების შესწავლასა და ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვას, საგზაო დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების სამუშაოებს; საგზაო-სატრანსპორტო ქსელის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების საკითხებს; საგზაო დარგისათვის საჭირო ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებას, ადგილობრივი საგ-

ზაო-სამშენებლო მასალებისა და მრეწველობის ნარჩენების შესწავლას საგზაო სისტემაში დანერგვის მიზნით. გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებების დამუშავებას, დამცავი ნაგებობების შექმნასა და მათ დანერგვას.

1965 წელს დააფუძნა და დღესაც ხელმძღვანელობს გზათა სამეცნიერო-კვლევით და სანარმოო ტექნოლოგიურ კომპლექსურ სახელმწიფო ინსტიტუტს.

იგი არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. აქვს 40-ზე მეტი გამოგონება (უმრავლესობა დანერგილია პრაქტიკაში). მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში (საფრანგეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ტაჯიკეთი, ლატვია). წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოში და საზღვარგარეთ.

თ. შილაკაძეს მიღებული აქვს კემბრიჯის (დიდი ბრიტანეთი) ფილოსოფიის საპატიო დოქტორის წოდება ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში (2018 წ.), არის იტალიის ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების გილერმო მარკონის სახ. საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1994 წ.), კალიფორნიის (აშშ) მეცნიერების, მრეწველობის, განათლების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (1995 წ.), მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის საპატიო პროფესორი (1995 წ.), საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (1992 წ.).

იგი არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1983), საქართველოს დამსახურებული ინჟინერი (1986), საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი (1971), მიღებული აქვს რიგი სხვა საპატიო წოდება.

აკად. თ. შილაკაძე არის საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, გზების, ხიდებისა და გვირაბების საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი დაიბადა 1949 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინის ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. დღემდე ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებისა და განვითარების საკითხებს.

1978 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართველ ახალშობილთა ფიზიკური განვითარების აქცელერაციის საკითხი“ და პირველმა დაადგინა, რომ აქცელერაციის ტემპის ცვალებადობა სრულად უკავშირდებოდა და იდენტური იყო მზის რადიაციის ცვალებადო-



ბასთან. ეს იყო ახალი სიტყვა ან-თროპოლოგიაში, კერძოდ, ქართველ ახალშობილთა განვითარებაში.

რ. ხეცურიანმა პირველად წარმოადგინა ახალშობილთა ანთროპომენტულ მონაცემთა 100-წლიანი დინამიკა.

სადოქტორო დისერტაცია ეხებოდა პლაცენტის მორფოლოგიურ თავისებურებებს ორსულობის სხვადასხვა ეტაპზე და ნინა სამშობიარო პერიოდში. რ. ხეცურიანის კვლევებმა გადაწყვიტა მანამდე უცნობი სამედიცინო მორფოლოგიური პრობლემა პლაცენტა-ნაყოფის სისხლის მიმოქცევის რეგულირებასთან დაკავშირებით.

აკად. რ. ხეცურიანის და მისი სამეცნიერო სკოლის მორფოლოგიური კვლევები წლების განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. შრომათა დიდი ნაწილი ფიზიკური განვითარების საკითხებს ეხებოდა. მნიშვნელოვანია მისი შრომები გულის კუნთის მორფოლოგიის, ერითროციტების მორფოლოგიის, ადამიანის ტვინის ნეორო-მორფოლოგიის და ასაკობრივი ცვალებადობების მიმართულებით.

იგი 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, 6 მონოგრაფიისა და 10 სახელმძღვანელოს ავტორია. მისმა სახელმძღვანელომ „ადამიანის ანატომია“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის პრემია დამსახურა, ხოლო 1997 წელს გამოცემულ მის სახელმძღვანელოს „ადამიანის ნორმალური ანატომია“ საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

იგი 5 სადოქტორო და 3 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელია.

აკად. რ. ხეცურიანი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მკვლევარია. იგი ლექციებს კითხულობდა ოსაკის, ანკარის, სტამბოლის, ტორიოს, ატლანტის (აშშ), კემბრიჯის და სხვა უნივერსიტეტებში.

აკად. რ. ხეცურიანი პოლონეთის სახელმწიფო აკადემიის, ნიუ-იორკის და ოსაკის სამედიცინო აკადემიების წევრია. არის მსოფლიო ნატურალისტთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, პოპკორატესა და ალბერტ შვაიცერის ორდენების კავალერი, ალბერტ შვაიცერის „კომანდორის“ დიდი ოქროს მედლის მფლობელი, დაჯილდოებულია საქართველოს ლირსების ორდენით, საქართველოს სახელმწიფო პრემიით და საერთაშორისო ორდენით შესრულებულია სამი საგრანტო პროექტი (აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის, ISTC და STCU გრანტები).

აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე

— დაიბადა 1936 წელს, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — მინისქვეშა ნაგებობებისა და შახტების მშენებლობის სპეციალობით.

იგი არის გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მინისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და საბადოთა დამუშავების განყოფილების ხელმძღვანელი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1978 წელს სადოქტორო დისერტაციიები.

ლ. ჯაფარიძის სამეცნიერო შრომები მოიცავს მინისქვეშა ნაგებობათა მექანიკის, საინჟინრო კონსტრუქციების განვითარების მეთოდების, ბუნებრივი და ხელოვნური ქვების და კომპოზიციური მასალების სხვადასხვა მეთოდებით მიღების, დამუშავების და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პრობლემებს. შრომებში გადმოცემულია თეორიული საფუძვლები და ორიგინალური მეთოდები მინისქვეშა ნაგებობების ზღვრულ მდგომარეობაზე გაანგარიშებისა და დაპროექტებისათვის ქანქის მასივის და ხელოვნური სამშენებლო კონსტრუქციების დრეკადი, პლასტიკური და რეოლოგიური თვისებების გათვალისწინებით. შექმნილია გრავიტაციული, ტექტონიკური, მინისაცვრის და აფეთქების სეისმური ტექნოლოგიური და სხვა ნარმობობის სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებებზე. სამთო, სატრანსპორ-

ტო, ჰიდროტექნიკური, სამხედრო და სხვა დანიშნულების გვირაბების გაანგარიშების ორიგინალური მეთოდები შესაბამისი ალგორითმებით და კომპიუტერული პროგრამებით.

აკად. ლ. ჯაფარიძის გამოცემები 130 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 53 გამოცემები საზღვარგარეთ (იტალია, ავსტრია, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვედეთი და სხვ.), 5 მონოგრაფია, ერთი სახელმძღვანელო, აქვს 5 გამოგონებულა. მონანილეობდა მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში, მათ შორის, აშშ-ში, შევიცარიაში, ავსტრიაში, ბულგარეთში, იტალიაში, ინდოეთსა და მექსიკაში. მისი მონანილეობით და ხელმძღვანელობით შესრულებულია სამი საგრანტო პროექტი (აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის, ISTC და STCU გრანტები).



იგი არის რიგი დარგობრივი აკადემიისა და სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი, მათ შორის, ამერიკის საბუნებისმეცყველ აკადემიის, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი, საქართველოსა და რუსეთის საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რამდენიმე კომისიის წევრი და სხვ.

ლ. ჯაფარიძე დაჯილდოებულია ლირსების ორდენით (1998 წ.). სხვადასხვა წლებში იგი იყო რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პროგრამისა და კომიტეტის კოორდინატორი და წევრი. მათ შორის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი სექციის, მავი ზღვის ქვეყნების ენერგეტიკული ცენტრის მმართველი საბჭოს წევრი და სხვ. არის საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.



ნოდარ მექმარიაშვილი

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და მშენებელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის წევრი ნოდარ მექმარიაშვილი დაიბადა 1929 წლის 13 მარტს ქ. სამტრედიაში. 1951 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შეატყმშენებლობის სპეციალობით და, როგორც ნარმატებული სტუდენტი, დატოვებულ იქნა კათედრაზე სამუშაოდ ასისტენტის თანამდებობაზე, სადაც მცირე ხანს დაჰყო, რადგან მას პრაქტიკული მუშაობა უფრო იზიდავდა. ასე აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართველი შეახტმენებელი უკრაინაში, ქ. სტალინობი (ამჟამად დონეცკი). 1951-1959 წლები მან სამაცო მშენებლობაზე დაჰყო, განვლო გზა სამთო ოსტატიდან შეახტსამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაში. ამ დროს, მისი უშაუალო ხელმძღვანელობით, ექსპლუატაციაში შევიდა სამი მძლავრი შეატი.

1959 წელს ის გადაყანილ იქნა დონეცკის ოლქის სამოქალაქო მშენებლობის სფეროში; 1963 წელს დანიშნეს დონეცკის ოლქის სამშენებლო გაერთიანება „დონეცკულისტროის“ მთავარ ინჟინრად; 1967 წელს დაანინაურეს საოლქო სამშენებლო გაერთიანების უფროსად და მთელი დონბასის ოლქის საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და სამოქალაქო მშენებლობის სფეროს ხელმძღვანელობა დააკისრეს. 1973 წელს უკვე დიდი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი ნოდარ მექმარიაშვილი სამუშაოდ საქართველოში გადმოიყვანეს; 1973-1981 წლებში იყო საქართველოს მშენებლობის მინისტრი; 1981-1982 წლებში - რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 1973-1982 წლებში ორგანიზებას უწევდა რესპუბლიკის ინდუსტრიის არსებული სტრუქტურების გაძლიერებას და ახლის მშენებლობას; დიდ ყურადღებას უთმობდა საცხოვრე-

ბელი და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

1985 წელს დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივ ნარმომადგენლად სსრკ მინისტრთა საბჭოსთან, მოსკოვში; ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს ის ხელს უწყობდა საქართველოს პრობლემების დადებითად გადაწყვეტას, პროპაგანდას უწევდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების მიღწევებს;

1991 წლის მარტში ის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დაინიშნა სსრკ მინისტრთა კაბინეტთან არსებული საქართველოს მთავრობის მუდმივ ნარმომადგენლად; 1991-1994წწ. მუშაობდა საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრის მოადგილედ; იყო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური მრჩეველი საზღვარგარეთის ინვესტიციების მოზიდვისა და მათი ათვისების საკითხებში; 1994 წლიდან მუშაობდა ქ. მოსკოვის მთავრობაში, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რეგიონის განვითარების სამინისტროში მინისტრის მოადგილედ; 1999 წელს სამუშაოდ გადავიდა ახლად ჩამოყალიბებულ რუსეთის სახალხო-სამხატვრო ფონდში გენერალური დირექტორის მოადგილედ; 2003 წელს დაანიშნა ფონდის გენერალურ დირექტორად, სადაც მუშაობდა 2012 წლამდე; დონეცკში მუშაობის პრეიონდში არჩეული იყო სახალხო დეპუტატთა დონეცკის საქალაქო და საოლქო საბჭოების დეპუტატად; მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული დონბასსა და საქართველოში ჩიგბურთის კომპლექსური ახალი ბაზების შექმნა; პირველი დახურული კორტების მშენებლობა თბილისში, საბჭოთა კავშირის ჩიგბურთის ნაკრები გუნდის სავარჯიშო ბაზის შექმნა ქ. თელავში; 1979 წელს იყო ესპანეთის დევისის თასის გათამაშების მონაწილე, საბჭოთა კავშირის ჩიგბურთის ნაკრების გუნდის უფროსი.

მიღებული აქვს შრომითი ნარმატების აღმიშვნელი არაერთი ჯილდო. კერძოდ: საბჭოთა კავშირის „შრომის ნითელი დროშის“ ორდენი (სამგზის) და „ხალხთა მეგობრობის“ ორდენი, „მეშახტეთა დიდების“ სამივე ხარისხის თარდენი; საქართველოს „ლირსების“ ორდენი, რუსეთის ფედერაციის ორდენი „მშენებლობაში დამსახურებისათვის“; უკრაინის მინისტრთა კაბინეტის „საპატიო ნიშნის“ ორდენი; „მეშახტეთა ბრწყინვალების“ სამივე ხარისხის ორდენი.

მინიშვნელოვან ნაგებობათა პრეტების შექმნისა და მათი აშენებისთვის 1979 წელს მიერიქა საბჭოთა კავშირის მინისტრთა პრემია, ხოლო 1984 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია (წყარო: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია. თბ., გვ.408-409).

ნოდარ მექმარიაშვილმა თავისი ხანგრძლივი, მოვლენებით და შეხვედრებით აღსავს ცხოვრება თანმიმდევრუ-

ლად გადმოსცა 2018 წელს გამოსულ მოგონებების წიგნში: „ოქროს აკვანი მონამეთაში“, რომელშიც ბევრი საინტერესო ამბავია მოთხოვბილი.

ქვემოთ გთავაზობთ გამოხმაურებას ნოდარ მექმარიაშვილის წიგნზე „ოქროს აკვანი მონამეთაში“

ბატონო ნოდარ

უდიდესი სიამოვნებით ნავიკითხე შენი შესანიშნავი წიგნი „ოქროს აკვანი მონამეთაში“. როგორი დიდი სიყვარულითა და არაჩვეულებრივი გულწრფელობით გადმოსცემ მოგონებებს მშობლებზე, შეიღებზე და შეიღიშვილებზე, მეგობრებზე, ყოვილ შენ ხელმძღვანელებზე და უმაღლესი თანამდებობის პირებზე.

განსაკუთრებული სითბოთი იხსენებ შენს ერთგულ მეუღლეს ქალბატონ გაღიას და მის გარემოცვას - ხელოვნების მოღვაწეთა გასაოცარ გალერეასა და სახელოვანი ისტორიულ პიროვნებათა დაუვიზუარ სახეებს.

რაც მთავარია, ეს ქმნილება მიუძღვნი ძვირფასი მეუღლის ხსოვნას. ძლიერი და ნარმატებული მამაკაცის გვერდით ყოველთვის ჭკვიანი და ინტელექტუალური ქალი დგავა.

ეს დიდებული ნაშრომი განა მარტო შენი განა მარტო შენი მრავალრიცხოვანი და მშვენიერი შთამომავლებისათვის შექმნენ, არამედ მთელი ერისთვის.

აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი მხცოვან, ოთხმოცდათ წელს მიაღებილ ასაკში დაინიშნა. შენ ყოველთვის გქონდა და საოცრებაა, რომ ამ ხანდა ზმულობაშიც შეინარჩუნე ბრწყინვალე, შესაშური მეხსიერება.

ვერაცხლობ შენს ნაშრომს და მიპყრობს აღვართოს განვითარების სამინისტროში მშვენიერობისათვის შეამატებული მამაკაცის გვერდით ყოველთვის ჭკვიანი და ინტელექტუალური ქალი დგავა.

ეს მხოლოდ ღვთით მომაღლებულ უნიჭირებს ადამიანთა ხვედრია. ჩემი ნოდარ, მე, ბელა და მთელი ჩემი ხჯახი გულითად მაღლობას გა-მოვხანგავთ შენდამი, წიგნში აღნერილი იმ თბილი და კეთილი მოგონებების გამო, რამაც ჩემი იჯავება თანამდებობაშიც შეინარჩუნე ბრწყინვალე, შესაშური მეხსიერება.

ულრმესი პატივისცემით ომარ მარგველაძეგილი 20.01.2019

რედაქტორი: ენერ ნიუარაძე

დაკაბადონება: პაატა ქორქია

უწყებები - საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ათვლითი გამოცემა

იქნება აკადემიის სტამბაში